სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

№ 01-021501

ქ. თბილისი 2022 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი უფროსის, **ანდრო ასლანიშვილის** სახით და მეორე მხრივ, **ი.მ. „თამაზ ბუკია“ (ს/კ 19001054047**), (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), წარმოდგენილი **თამაზ ბუკიას** სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზე ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმ ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი.

1.6 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს - შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №150-ში მდებარე ბორტიანი სატვირთო ავტომობილის „ГАЗ-53“ ფაქტობრივი ღირებულების დადგენა და დასკვნის მომზადება (CPV 79200000; 79212000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 200 (**ორასი**) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

3.3. მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს კანონმდებლობით.

3.4. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის გადასინჯვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ამასთანავე დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.5. ფასების გადასინჯვის შესახებ ხელშეკრულების ინიციატორმა მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

4. **მხარეთა უფლება-მოვალეობები**

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. საკუთარი სახსრებით გაუწიოს „შემსყიდველს" სრული მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

4.1.2. დროულად განიხილოს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები.

4.2.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია:

4.3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება და დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

4.5. უფლებამოსილია, განაცხადოს უარი უხარისხოდ გაწეული მომსახურების მიღებაზე.

5. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებსა და გაწეული მომსახურების ხარისხზე.

5.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ***სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ეკონომიკური სამსახურის საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.***

6. **მომსახურების გაწევის პირობები და შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 11 მარტისა.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მომსახურების ფაქტობრივად გაწევის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს ***სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ეკონომიკური სამსახურის საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი.***

7. **ანგარიშსწორება**

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარებში, უნაღდო წესით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებელთან მომსახურების ფაქტობრივად გაწევის შემდეგ, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: ***სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის საკუთარი სახსრები.***

8. **ფორს-მაჟორი**

8.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

8.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარეების შეცდომასა და

დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;

8.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი ან/და ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მხარე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით;

9.4. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.5. ზემოაღნიშნული პირგასამტეხლოების გადახდა მოხდება მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობა

შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ:

10.1 მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება;

10.2 მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

10.3 შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. დავა და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა ან უთანხმოება შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. ასეთი მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

13. დასკვნითი დებულებანი

13.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონულად დამოწმებული ეგზემპლარი ორიგინალია. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაში შედის მხოლოდ მისი წერილობით გაფორმებისა და მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელ: 243 95 45

ანდრო ასლანიშვილი
სააგენტოს უფროსი

LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY
Digitally signed by LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY
Date: 2022.02.15 15:57:23 +04'00'

მიმწოდებელი:

ი.მ. „თამაზ ბუკია“
საიდენტიფიკაციო კოდი: 19001054047
მის: ქ.თბილისი, ვეკუას ქ.#1, ბინა82
ბანკის დასახელება: სს ,,ტერაბანკი “
ბანკის კოდი: TEBAGE22
ა/ა: GE 62 KS 0000 0013 6013 6999
ტელ: 591 95 24 24
ელ. ფოსტა: t.bukia1960@gmail.com

Tamaz Bukia

Digitally signed by Tamaz Bukia
Date: 2022.02.15 17:02:53 +04'00'

შეთანხმებულია:

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსა“ და ი.მ. „თამაზ ბუკია“-ს (ს/კ 19001054047) ბორტიანი სატვირთო ავტომობილის „ГАЗ-53“ ფაქტობრივი ღირებულების დადგენისა და დასკვნის მომზადების (CPV 79200000; 79212000) შესყიდვის მიზნით, ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

_____ ანდრო ასლანიშვილი

_____ თეიმურაზ მთივლიშვილი

_____ მარიამ ხვედელიძე

_____ მაია სისვაძე

_____ ნინო სამადაშვილი

_____ ზვიად მანჯგალაძე

_____ მამუკა ოძელაშვილი

_____ მიხეილ ჭვინაშვილი